განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ადგენს ბავშვის ქცევის მართვის და ვალდებულებების განსაზღვრის კრიტერიუმებს, მშობლების, მეურვის, ბავშვის მზრუნველობაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და იურიდიული პირების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებებს და მოვალეობებს, რომელთა დარღვევისთვის საჭიროა შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება. აღნიშნული გარემოება განაპირობებს ცვლილების შეტანის საჭიროებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

წარმოდგენილი კანონის მიღება აუცილებელია „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტის მიღებით შექმნილი სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;

კანონპროექტის მიღება მოაწესრიგებს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღებით წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს კანონის ,,ბავშვის კოდექსი აწესრიგებს ბავშვის მასობრივ გასართობ საცეკვავო ცენტრებში ბავშვის დაშვების და ბავშვის მონაწილეობით გამართული საჯარო ღონისძიების ხელმძღვანელის პასუხიმგებლობის საკითხებს. რომელთა დაცვაზე კონტროლს ახორციელებენ ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურები. აღნიშნული მუხლებიის მოთხოვნების დაუცველობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გასაზღვრულ პასუხისმგებლობას, რაც ასახულია კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის 46^5-46^6 მუხლებით. საჯარო ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ ბავშვის

უფლებათა კოდექსით დადგენილი შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^6 მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. ბავშვის კოდექსის თანახმად, ინფორმაციის ინტერნეტ სივრცეში განთავსების წესების დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, რაც აისახა პროეტის 144^{12} მუხლში.

კოდექსს ემატება 170^1 მუხლი, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა არასრულწლოვნის ჩაბმა ან/და გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობის, ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური ან/და სოციალური განვითარებისთვის.

საქართველოს კანონით ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი" აკრძალულია ბავშვის შრომითი საქმიანობა ისეთ დაწესებულებაში სადაც ხდება ალკოჰოლური სასმელების, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ტოქსიკური ნივთიერებების, ფარმაცევტული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების ან/და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია ან ფუნქციონირებს, როგორც სათამაშო ბიზნესი და ღამის გასართობი დაწესებულება.. ამ მოთხოვნის დარღვევაზე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^3 მუხლის პროექტში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლში შეტანილ ცვლილებებში განისაზღვრა, რომ კოდექსის 46^5-46^6 და 139^5 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის შესაბამისი თანამდებობის პირი, ხოლო კოდექსის 144^{11} და 144^{12} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია.

კოდექსს ასევე ემატება 172^8 და 172^9 მუხლები, რომლებიც აწესებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვის დაშვების წესებისა და ჟურნალ-გაზეთებისა და ბეჭდური მედიის სხვა სახის პუბლიკაციების ბავშვზე ხელმისაწვდომობის წესების დარღვევისათვის.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

აღნიშნული კანონი უნდა ამოქმედდეს „ბავშვის უფლებათა კოდექსთან“ ერთად, შესაბამისად ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონპროექტის ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გაზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, რადგან დგინდება ახალი სახის ადმინისტრაციული ჯარიმები „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. საშემოსავლო ნაწილის ზრდის რაოდენობრივი შეფასება ამ ეტაპზე არის შეუძლებელი, რადგან არ არსებობს იმ პირთა სტატისტიკა, რომლებიც არიან ბავშვის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების პოტენციურად დამრღვევი პირები.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება პოტენციურად განაპირობებს ფინანსური ხარჯების ზრდას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის ფონდის (უნისეფის) საქართველოს წარმომადგენლობა. ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - სოფო კილაძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - პაატა ტურავა.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფო კილაძე, ანრი ოხანაშვილი, კარლო კოპალიანი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ლევან ბეჟანიძე, კობა ლურსმანაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, მერაბ ქვარაია, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი კახიანი, ცოტნე ზურაბიანი, აკაკი ზოიძე, დიმიტრი მხეიძე, გოგა გულორდავა, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, მახირ დარზიევი, მირიან წიკლაური, მამუკა მდინარაძე.